11/11/2025

MES 1 25 0001589321

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 28.10.2025
სხდომის დაწყების დრო: 13:34
სხდომის დასრულების დრო: 18:01
სხდომის თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ნარგული ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. **ნათია იორდანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე
6. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
7. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

8. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
9. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
10. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი
11. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
12. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
13. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
14. **ბონდო გასვიანი** - შპს საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუ - ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
15. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამთა მოხევიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **შპს - "ალტე" უნივერსიტეტი**

- **ირმა გრძელიძე** - ვიცე-პრეზიდენტი აკადემიურ საქმეთა და კვლევების მიმართულებით
- **ანი ამირანაშვილი** - ვიცე-პრეზიდენტი მარკეტინგისა და ბიზნესის განვითარების მიმართულებით
- **თამარ მახარაძე** - ვიცე-პრეზიდენტი ფინანსებისა და საოპერაციო მიმართულებით
- **ნინო ალავიძე** - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი
- **ირმა ნოზაძე** - პროგრამების შესაბამისობის სამსახურის უფროსი
- **ლაშა მაჭარაშვილი** - შეფასებების სამსახურის უფროსი
- **სოფიო იდაძე** - ადამიანების განვითარების და საქმისწარმოების დეპარტამენტის დირექტორი
- **რუსუდან სანაძე** - კომპიუტერული მეცნიერების პროგრამის ხელმძღვანელი
- **ხათუნა ელბაქიძე** - ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემთა ანალიტიკის პროგრამის ხელმძღვანელი

2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- **ნონა ოთხოზორია -** პროგრამის ხელმძღვანელი
- **რევაზ ხაინდრავა -** პროგრამის ხელმძღვანელი

- **ქეთევან ლატარია -** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

3. **სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

- **ლევან მიდოდაშვილი -** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
- **ბიძინა მიდოდაშვილი -** პროგრამის ხელმძღვანელი

4. **შპს ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი**

- **სალომე პირველი** - დაწესებულების ხელმძღვანელი
- **თამარ გოგოლაშვილი** - პროგრამის ხელმძღვანელი
- **ანჟელა აბულაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

5. **სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

- **ნინო ქიმერიძე** - ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი
- **დავით პატარაია** - პროგრამის ხელმძღვანელი

6. **შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი**

- **ვახტანგ ჩქარეული -** პროგრამის ხელმძღვანელი
- **თამარ გვიანიშვილი -** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

აკრედიტაციის ექსპერტები

I საკითხი:
ჰასან ჩაქირი
მაგდა ცინცაძე
მარინა რაზმაძე
მანანა ხაჩიძე
თამთა კობახიძე
ალექსანდრე კალანდაძე

II-III საკითხები
სეიფედინ კადრი
ნანი არაბული
მარინა რაზმაძე
გიზო უჩაიძე

IV საკითხი
ეკა გეგეშიძე
ნათია დაღელიშვილი
სოფიო უგრეხელიძე

V საკითხი
მარიამ ბანძელაძე
თამთა ცხოვრებაძე

VI-VII საკითხები

ეკა ლეკაშვილი

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს ალტე უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო და "ხელოვნური ინტელექტის და მონაცემთა ანალიტიკის" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. შპს ნეუ - ეროვნულ საგანმანათლებლო უნივერსიტეტის “ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მიგრაციის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს ალტე უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო და "ხელოვნური ინტელექტის და მონაცემთა ანალიტიკის" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

4. შპს ნეუ - ეროვნულ საგანმანათლებლო უნივერსიტეტის “ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მიგრაციის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს ალტე უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო და "ხელოვნური ინტელექტი და მონაცემთა ანალიტიკა" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: **კომპიუტერული მეცნიერება**
საფეხური: ბაკალავრიატი
სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი: პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი, 0613
სტატუსი: აკრედიტებული
კრედიტები: 240

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: **კომპიუტერული მეცნიერება**
საფეხური: ბაკალავრიატი
სწავლების ენა: ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი: პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი, 0613
სტატუსი: აკრედიტებული
კრედიტები: 240

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ხელოვნური ინტელექტი და მონაცემთა ანალიტიკა
საფეხური: ბაკალავრიატი
სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი: პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი, 0613
სტატუსი: ახალი
კრედიტები: 240

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ხელოვნური ინტელექტი და მონაცემთა ანალიტიკა
საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი: პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი, 0613
სტატუსი: ახალი
კრედიტები: 240

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჰასან ჩაქირმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები და აღნიშნა, რომ საკმაოდ ბევრი რეკომენდაცია დაგროვდა ამ პროგრამების მიმართ, რადგან ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ ხდებოდა შედეგების გადაფარვა. პირველ რიგში, რეკომენდაციები შეეხებოდა როგორც ამ ორი პროგრამის სახელების ერთგვარ მოდიფიცირებას, გადარქმევას, ასევე სილაბუსების განახლებას. ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ პროგრამები არსებითად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნეებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ არგუმენტირებული პასუხის შემდეგ საბოლოო დასკვნაში ორი რეკომენდაცია რჩევაში იქნა გადატანილი, თუმცა დამატებულია ერთი რეკომენდაცია, რომელიც არის გაძლიერებული, გაფართოებული და ფაქტობრივად, იგივეს მიუთითებს. პირველი რეკომენდაციის თანახმად პროგრამები უნდა იყოს წარმოდგენილი 2 პროგრამად ან ორი ინსტრუქციის ენით. თუმცა ქართულ სივრცეში ამგვარი დაშვება შეუძლებელია, რადგან კანონმდებლობა არ იძლევა საშუალებას. მეორე, ამ პროგრამებთან დაკავშირებული დუბლირებები, რომელიც რეკომენდაციებში მუდმივად მეორდება, რეალურად, საგანმანათლებლო პროგრამები ისე არის აწყობილი, რომ ისინი კვალიფიკაციათა ჩარჩოს სრულად პასუხობენ და შესაბამისად, გადის იმ კვალიფიკაციაზე, რომელზეც არის წარმოდგენილი. ორივე პროგრამა სხვადასხვა პროფილს ეფუძნება, თუმცა რადგან ერთსა და იმავე კვალიფიკაციაზე გადის იქმნება კურსების ის ძირითადი ბირთვი, რომელიც ოთხივე პროგრამისთვის საერთო, თუმცა აუცილებელია. კომპიუტერული მეცნიერებები აქცენტირებულია პროგრამულ უზრუნველყოფასა და სისტემურ განვითარებაზე, მაშინ როცა

ხელოვნური ინტელექტი და მართვის პროგრამა ფოკუსირებულია ხელოვნურ ინტელექტზე, მანქანურ სწავლებაზე, მონაცემთა ანალიზზე და სხვა. ეს ყველაფერი დასკვნის პროექტშიც ჩანს. მეორე ბლოკების სახელწოდება და კვალიფიკაციების შესაბამისობა ასევე არის დუბლირება და პუნქტები ერთმანეთს ემთხვევა. მან ასევე აღინიშნა, რომ პროგრამების ბლოკების სახელწოდებები ზუსტად ასახავს შინაარსს, დარგობრივი კოდექსის შინაარსთან მიმართებაში და შესაბამისობაშია როგორც ქართულ, ისე ზოგად სტანდარტთან. კურსის დამატებასთან დაკავშირებით ითქვა, რომ ეს სამომავლოდ შესაძლოა განიხილოს დაწესებულებამ, თუმცა აღნიშნული საკითხები ინტეგრირებულია სხვადასხვა კურსებში, ამიტომ ეს შესაძლოა უფრო რჩევად იქნეს მიჩნეული, ვიდრე რეკომენდაციად. რაც შეეხება პერსონალისა და რესურსის საკითხს, ზოგადად ამ პროგრამებზე მოთხოვნა არის ზრდადი, როგორც ზრდადია რეალური მოთხოვნა და საჭიროება პერსონალის, რომელიც ამას განახორციელებს. უნივერსიტეტმა მოახერხა, რომ სასწავლო პროცესში ჩაერთო ისეთი ლექტორები, რომლებმაც ახლახანს დაიცვეს დისერტაციები როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთ. ამ ტიპის კვალიფიკაციის პერსონალის მოზიდვა უნივერსიტეტისთვის არის პრიორიტეტული. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი რეკომენდაციაა წარმოდგენილი, შესაძლოა, რომ რამდენიმე რეკომენდაციაზე დაიყვანოს, როგორც წარმოდგენილია არგუმენტირებულ პასუხში. თუმცა ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პროგრამა შეესაბამება მოთხოვნებს და საერთაშორისო სტანდარტებს.
პროგრამის ხელმძღვანელმა, რუსუდან სანაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტების თქმით თითოეული პროგრამა აკმაყოფილებს დარგობრივ სტანდარტს. მიმდინარე ტენდენციების მიხედვით დაწესებულებამ მიიჩნია, რომ გაეკეთებინა ცალკე მდგომი პროგრამა, იმიტომ რომ მეტად გაეძლიერებინა ინტერდისციპლინური კავშირები, რომელშიც იგულისხმება არა მხოლოდ დარგობრივი, არამედ დარგთაშორის ურთიერთობა, რომელიც ალტე უნივერსიტეტის უშუალო მისიაში არის გაწერილი. აკრედიტაციის პროცესის შემდეგ Oracle აკადემიის მასალასთან მოიპოვეს წვდომა და სტუდენტები დამატებით ნახავენ შესაძლებლობას, რომ ჩაერთონ სერთიფიცირების პროცესში ჩაერთონ. ასევე, მიმდინარედ მუშაობს დაწესებულება SAP აკადემიაში ინტეგრაციასთან. ხელმოწერის პროცესში არის გლობალური შეთანხმება, რომელიც დიდ წვლილს შეიტანს და შემდგომ დასახულ გეგმებს, კერძოდ სამაგისტრო საფეხურზე გადასვლას შეუწყობს ხელს. ხაზი გაესვა პრაქტიკულ კომპონენტსაც, რომელიც მხარდაჭერილია დაწესებულების ინოვაციებისა და მეწარმეობის ცენტრის მხრიდან. გაფორმებულია 200-ზე მეტი მემორანდუმი ინდუსტრიასთან და მათთან ურთიერთთანამშრომლობა ძალიან აძლიერებს არსებულ პროგრამებს. ასევე, ხაზი გაესვა კვალიფიციურ პერსონალს, რომელსაც დიდ ყურადღებას აქცევს დაწესებულება.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ხათუნა ელბაქიძემ აღნიშნა, რომ მოცემულ 4 პროგრამას, რა თქმა უნდა, აქვს თანაკვეთა, რადგან ოთხივე ერთი და იგივე კვალიფიკაციაზე გადის, ამასთან ისინი მოიცავენ საერთო ფუნდამენტურ ღერძს, ამიტომ ბუნებრივია, არის ისეთი საგნები, რომელიც მეორდება, თუმცა როგორც აღინიშნა, ისინი სხვადასხვა მიმართულებაზე არიან ორიენტირებულნი. მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის და მონაცემთა ანალიტიკის პროგრამას სჭირდება მეტად გაძლიერებული სტატისტიკური და ინსტრუმენტალური პროგრამული კვლევები. ამ თვალსაზრისით, ამ პროგრამებში დამატებულია როგორც სტატისტიკური ინსტრუმენტების შესაბამისი კურსი, ისე რიცხვითი ანალიზი და 3D ინსტრუმენტების კვლევის კურსი, რაც განასხვავებს მეორე პროგრამისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. „მონაცემთა ანალიტიკისა და ხელოვნური ინტელექტის“ პროგრამის შესახებ და იკითხა, თუ რომელი საგნებით არის უზრუნველყოფილი მონაცემთა ანალიტიკისა და ხელოვნური ინტელექტის სრულყოფილი შესწავლა?
ხათუნა ელბაქიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა ისეა შედგენილი, რომ აქვს ფუნდამენტური ბლოკი, ძირითადი საგნები. ამ ძირითად ბლოკში შედის ძლიერი მათემატიკური ინსტრუმენტები, ასევე

გაძლიერებულია ალგორითმისა და მონაცემთა სტრუქტურების გაძლიერებული კურსები. წარმოდგენილია სტატისტიკა და ალბათობა, ასევე, რიცხვითი მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების მომარაგებას კვლევის ინსტრუმენტებით, იმისათვის რომ მარტივად შეძლონ მონაცემთა დამუშავება. ამასთან, წარმოდგენილია პროგრამაში 13 ინსტრუმენტის კვლევა, რომელიც მოიცავს ვიზუალიზაციის მეთოდებით სტუდენტთა აღჭურვას, თუმცა მოგვიანებით უკვე არის სავალდებულო ბლოკები, სადაც ხდება თითოეული ამ კურსის პრაქტიკული და თეორიული განვითარება, რაც საბოლოოდ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, რომ ის იყოს აღჭურვილი როგორც ხელოვნური ინტელექტის, ისე მონაცემთა ანალიტიკის შესაბამისი ცოდნით. საგნების ძირითადი ბლოკი, რაც არის წარმოდგენილი, გადის კვალიფიკაციაზე, თუმცა ამ ძირითად 185 კრედიტში გათვალისწინებულია ზემოთ აღნიშნული კურსებიც.

ქეთევან ნანობაშვილმა აღნიშნა, რომ დარგობრივ სტანდარტში კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით სწავლის სფეროები მოცემულია ცხრილის საშუალებით, სადაც ხელოვნურ ინტელექტს უწერია 4, რაც ნიშნავს იმას, რომ გაანალიზების დონეზე უნდა იცოდეს სტუდენტმა. ძირითად საგნებში კი არის მხოლოდ ხელოვნური ინტელექტის საგანი. ის საგნები, რომლებიც მოცემულია, რომ კვალიფიკაცია მიიღოს სტუდენტმა, მოთავსებულია სავალდებულო არჩევით ბლოკში, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს საგნები ვერ მიიღებენ კვალიფიკაციის მინიჭებაში მონაწილეობას. გარდა ამისა, არ არის ეთიკის საგანი არცერთ პროგრამაში.

რუსუდან სანაძემ აღნიშნა, რომ ფუნდამენტური ბლოკების გავლა არის სავალდებულო, თუმცა ამის შემდგომ სტუდენტი კონკრეტულად სავალდებულო არჩევით საგნებს ირჩევს. თუმცა ძრითად ბაზებშია მონაცემთა ბაზები, ხელოვნური უსაფრთხოების საკითხები და სხვა.

ქეთევან ნანობაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამული ინჟინერია მნიშვნელოვანი კომპონენტია, რათა საბოლოო ჯამში სტუდენტმა შეძლოს საბოლოო პროექტის შესრულება. მას აინტერესებდა რომელ საგანში იყო თავმოყრილი ეს ცოდნა?

რუსუდან სანაძემ აღნიშნა, რომ მესამე სემესტრში არის 5 კრედიტიანი საგანი, რომელიც სრულად ფარავს აღნიშნულ საკითხს, თუმცა ამას გარდა არის 3 კრედიტი, რომლიდანაც 1 არის უშუალოდ პრაქტიკის ნაწილი სტუდენტთან, მეორე არის სტუდენტის ნაშრომი საბაკალავრო ნაშრომამდე და მესამე - საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც გამოყენებითი კვლევით პროექტებს უნდა შეიცავდეს.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტთა თავმჯდომარეს. მას აინტერესებდა თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს რეკომენდაციები პროგრამების იდენტობასთან მიმართებით.

საერთაშორისო ექსპერტმა ჰასან ჩაქირმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ეფუძნება ადგილზე ვიზიტს. სწორედ ამის მიხედვით მიიღო ექსპერტთა პანელმა აღნიშნული გადაწყვეტილება. პირველ რიგში შეადარეს ეს ორი პროგრამა და დაინახეს, რომ გარკვეული საგნები ერთმანეთს ფარავდა შინაარსობრივად. ჰასან ჩაქირმა აღნიშნა ისიც, რომ რეკომენდაციები ემსახურება პროგრამების განვითარებას.

ექსპერტმა, მანანა ხაჩიძემ აღნიშნა, რომ ორი პროგრამა, რომელსაც ძირითადი არჩევითი საგნების 180 კრედიტის გადაფარვა აქვს, ვერ გავა სხვადასხვა შედეგზე. ამასთან არცერთი საგნით არ იფარება ეთიკის ბლოკი.

საბჭოს წევრმა, მაქსიმ იავიჩმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. დასკვნაში წერია, რომ პროგრამის მიზნები და შედეგები უნდა იყოს განსხვავებული. მას ამასთან დაკავშირებით აინტერესებდა ექსპერტთა აზრი. მეორე კითხვით კი დაწესებულებას მიმართა, როგორც აღინიშნა, საგნები მეორდება ძირითად შემთხვევაში. მას აინტერესებდა თუ რომელ ბლოკში იყო განსხვავება ამ ორ პროგრამას შორის?

მანანა ხაჩიძემ აღნიშნა, რომ პრობლემა სწორედ იმაში იყო, რომ საგნები არის ერთნაირი, თუმცა მიზნები და შედეგები განსხვავებული.

ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ ორივე პროგრამა შეესაბამება დარგობრივ სტანდარტებს. ძალიან ბევრი საგანმანათლებლო პროგრამა არსებობს, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ მსგავსი სტრუქტურა, თუმცა 2 განსხვავებული პროგრამის სახით იყოს წარმოდგენილი, თუმცა დავას იწვევს ის ფაქტი, როდესაც მსგავსი პროგრამები ერთი ინსტიტუციის მიერ არის წარმოდგენილი. დაწესებულებამ გამოთქვა მზადყოფნა ორივე პროგრამისთვის რესურსების მობილიზების შესახებ.
რუსუდან სანაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში არსებობდა კომპიუტერული პროგრამები, რომლის აკრედიტაციის დროს რეკომენდაცია იყო, რომ უფრო მეტად დაკონკრეტებულიყო და დაწესებულებას გაეჩინა მიმართულებები იმისთვის, რომ სტუდენტებს უფრო მეტი ფოკუსი გაეკეთებინათ პროფესიული ორიენტაციის დროს, რაც გაითვალისწინა უნივერსიტეტმა. ამასთან ერთად გამოყო AI, რადგან დღევანდელობაში საკმაოდ მოთხოვნადი საკითხია. ამასთან პირველი სემესტრი არის ზოგადი, მეორე და მეოთხე - არის სრულად პროფესიული, სადაც წარმოდგენილია მათემატიკური აპარატი და კომპიუტერული არქიტექტურის ელემენტებიც.
ხათუნა ელბაქიძემ აღნიშნა, რომ ორივე პროგრამა გადის დამოუკიდებელ მიზნებსა და შედეგებზე. ხელოვნურ ინტელექტში არის კვლევის ინტრუმენტები, რომელიც ანალიზისა და კვლევის უნარებით ამარაგებს სტუდენტებს, რაც მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის და შემდგომი ბლოკისთვის. ასევე სავალდებულო ბლოკშია ვიზუალიზაციის ინტრუმენტი, რომელიც სტუდენტს ეხმარება ცოდნის გაღრმავებაში ამ მიმართულებით. რაც შეეხება ინჟინერიის კურსს, ის გათვალისწინებულია პროფორიენტაციის ბლოკში, რომლის ცოდნის მიღებასაც სწორედ წინამდებარე კურსები უზრუნველყოფენ.
მაქსიმ იავიჩმა კითხვით მიმართა ექსპერტებს 14.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა რა იგულისხმებოდა GDPR-ში?
ჰასან ჩაქირმა აღნიშნა, რომ ციფრულ ეთიკასთან დაკავშირებით, რომ ჩამატებულიყო ცალკე კურსი. მათი რეკომენდაცია ეყრდნიბოდა ACM-ის რეკომენდაციას, რომელიც სთავაზობს, რომ ცალკეულ კომპიუტერულ პროგრამებში ცალკე კურსად იყოს შეთავაზებული ციფრული კურსი. თუმცა ინსტიტუციამ აღნიშნა, რომ ეს ცალკე კურსად არ აქვს გამოყოფილი და ის გაშლილია სხვადასხვა საგნებში.
ექსპერტმა, მაგდა ცინცაძემ განმარტა, რომ მონაცემების დაცვის პროფესიული ეთიკა არის უმნიშვნელოვანესი აღნიშნულ სფეროში.
რუსუდან სანაძემ აღნიშნა, რომ ეს საკითხები გამჭოლად არის სხვადასხვა კურსებში წარმოდგენილი.
საბჭოს წევრმა, დავით კაპანაძემ აღნიშნა, რომ პირველი 150 კრედიტი ერთმანეთს ემთხვევა ამ ორ პროგრამაში. ამის შემდეგ მეორე და მესამე ბლოკია. ხოლოვნური ინტელექტისა და ანალიტიკის ერთ ბლოკშია მხოლოდ 6 ახალი საგანი, ხოლო მონაცემთა ანალიტიკაში არის 2 განსხვავებული საგანი. ასევე, თავისუფალი კომპონენტის არჩევით კურსებში, მაგალითად აიოს პროგრამაში მითითებულია წინაპირობად საგანი, რომელიც ამ კურსში საერთოდ არ არის და ეს რამდენიმე კურსთან მიმართებით მეორდება. ამასთან, დასკვნაში მითითებულია, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილი იქნებოდა პროგრამების გაერთიანება და კომპიუტერული მეცნიერების შეთავაზება როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. დავით კაპანაძეს აინტერესებდა თუ რა იგულისხმებოდა აკადემიურ კეთილსინდისიერებაში.
მაგდა ცინცაძემ აღნიშნა, რომ ერთი და იგივე საგნების სწავლება სხვადასხვა შედეგზე ვერ გაიყვანს სტუდენტს, შესაბამისად, ეს იგულისხმება აკადემიურ კეთილსინდისიერებაში.
რუსუდან სანაძემ აღნიშნა, რომ ეს ორივე პროგრამა კომპიუტერული მეცნიერების შედეგზე გადის და ამას არ მალავს დაწესებულება.
ხათუნა ელბაქიძემ აღნიშნა, რომ ერთი და იგივე კვალიფიკაცია აქვს ორივე პროგრამას, თუმცა სხვადასხვა უნარების განვითარება ხდება პროგრამებზე. ამ პროგრამებში სრულად არის მოცული ის კურსები, რომლებიც საჭიროა კვალიფიკაციისთვის.

ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ დასკვნა მიუთითებს, რომ პროგრამები გადიან შედეგებზე. ორივე პროგრამა არის უნიკალური და ბევრი შემთხვევა დასტურდება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში საგნებით პროგრამების გადაფარვისა, თუმცა ეს პროგრამის უნიკალურობას არ უშლის ხელს.
საბჭოს წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს პროგრამის დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით. კერძოდ, დასკვნაში მითითებულია, რომ წინაპირობები ნათელი და შესაბამისია კანონმდებლობასთან, თუმცა გაცემულია რეკომენდაცია, რომ წარმოადგინოს ქართული ენის დამადასტურებელი სერთიფიკატი უცხოელმა აპლიკანტმა. მას აინტერესებდა თუ რა გახდა რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.
მაგდა ცინცაძემ აღნიშნა, რომ მიღება/ჩარიცხვას არეგულირებს უნივერსიტეტი. ამ შემთხვევაში, რადგან პროგრამა ქართულენოვანია, ამიტომაა ეს წინაპირობა.
ანი ამირანაშვილმა განმარტა, რომ ქართულენოვან პროგრამებზე ძირითადად ერთიანი ეროვნული გამოცდების საშუალებით ირიცხებიან სტუდენტები, შესაბამისად ვინც აბარებს ეროვნულ გამოცდებში ქართულ ენასა და ლიტერატურას, ის ხვდება პროგრამაზე. ინგლისურენოვან პროგრამებთან დაკავშირებით კი დაცულია ყველა სტანდარტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:02
დასრულების დრო: 15:47
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ალტე უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის საკითხი 4 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის,მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ემუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,შპს ალტე უნივერსიტეტის **"კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 4 წლის ვადით 2029 წლის 11 ნოემბრამდე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ალტე უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების"ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის საკითხი 4 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის,მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი

პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ემუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,შპს ალტე უნივერსიტეტის **"კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 4 წლის ვადით** 2029 წლის 11 ნოემბრამდე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ალტე უნივერსიტეტის **„ხელოვნური ინტელექტის და მონაცემთა ანალიტიკის“ საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის საკითხი 4 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის,მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ემუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,შპს ალტე უნივერსიტეტის **„ხელოვნური ინტელექტის და მონაცემთა ანალიტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 4 წლის ვადი**თ 2029 წლის 11 ნოემბრამდე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ალტე უნივერსიტეტის **„ხელოვნური ინტელექტის და მონაცემთა ანალიტიკის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის საკითხი 4 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის,მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ემუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,შპს ალტე უნივერსიტეტის **„ხელოვნური ინტელექტის და მონაცემთა ანალიტიკის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 4 წლის ვადით** 2029 წლის 11 ნოემბრამდე.

2. მეორე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ინფორმაციული ტექნოლოგიები
საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი: 0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება
სტატუსი: აკრედიტებული
კრედიტები: 240

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ვლადიმერ ადეიშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სეიფედინ კადრიმ აღნიშნა, რომ შემუშავებული რეკომენდაციები ძირითადად ეხება 1, 2 და 4 სტანდარტებს. პირველი რეკომენდაციის თანახმად უნდა გადაიხედოს პროგრამის შედეგები. ასევე ზოგიერთი პროგრამის შედეგების გადახედვა უნდა მოხდეს კიდევ ერთხელ იმისათვის, რომ ეს კრიტერიუმები გახდეს გაზომვადი. ასევე რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შეფასება და გაუმჯობესება უშუალოდ აკრედიტაციის მოთხოვნებიდან და სტანდარტებიდან გამომდინარე. რეკომენდებულია, პროფესიული ვორკშოფებისა და სემინარების დამატება უშუალოდ პერსონალისთვის და ცალკეული შეფასების კულტურის ჩამოყალიბება უნივერსიტეტში. 1.4 რეკომენდაციის თანახმად სტატისტიკის ნაწილი უნდა ჩაერთოს კურიკულუმში. მეორე სტანდარტში კი გაიცა რეკომენდაცია, რომ განახლდეს სილაბუსი და ასევე, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სწავლების შეფასების ყოველკვირეული მექანიზმი. მეოთხე სტანარტი ძირითადად ეხება ადამიანურ რესურსებს. პროგრამას ჰყავს სამი ხელმძღვანელი, რეკომენდაციის თანახმად უნივერსიტეტმა უნდა ჩამოაყალიბოს ცალკეული დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მკაფიოდ განისაზღვრება თითოეული ხელმძღვანელის როლი და პასუხისმგებლობები. 4.4 რეკომენდაციაში რეკომენდებულია, რომ სასწავლო რესურსებში შევიდეს ცალკეული ცვლილებები და განახლებები, უნდა გაუმჯობესდეს ბიბლიოთეკაზე წვდომა სტუდენტებისთვის და უნდა მოხდეს განახლებული ლიტერატურის შეთავაზება. უნივერსიტეტი ზოგადად დაეთანხმა ექსპერტების მიერ შეთავაზებულ რეკომენდაციებსა და რჩევებს. საბოლოო დასკვნიდან ამოღებულია ერთი რეკომენდაცია, რადგან მასთან დაკავშირებული საკითხის მოგვარება უნივერსიტეტმა დროულად შეძლო.

ექსპერტმა ნანა არაბულმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი დიდ როლს ასრულებს რეგიონში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დეტალურად გაეცნო ინსტიტუცია წარმოდგენილ დასკვნას და სრულად იზიარებს მას. ხაზი გაესვა იმასაც, რომ რეკომენდაციების დიდი ნაწილი უკვე გათავლისწინებულია უნივერსიტეტის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. დარგობრივ სტანდარტში ინფორმაციული ტექნოლოგიების ცხრილში პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიას აქვს მესამე დონე. მას აინტერესებდა რომელი საგნებით ხდებოდა ამის დაფარვა.
ნონა ოთხოზორიამ აღნიშნა, რომ სტუდენტებისთვის შეთავაზებულია ძირითადი ფუნდამენტური ნაწილი, სტრუქტურები, მონაცემთა ნაწილი. შემდეგ ეხმაურებიან ხელოვნურ ინტელექტს, კიბერუსაფრთხოებას და სხვა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:05
დასრულების დრო: 16:11

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი კლასტერის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 11 ნოემბრამდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

3. მესამე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ინფორმატიკა

საფეხური: ბაკალავრიატი
სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმატიკის ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი: პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი, 0613
სტატუსი: აკრედიტებული
კრედიტები: 240

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს თეა მჭედლურმა და ციური დურულმა.
თვითაცილების მიზეზს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სეიფედინ კადრიმ აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა 1 და 2 სტანდარტებს. პირველ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერთტა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მართებული იქნება თუ კი უნივერსიტეტი განაახლებს პროგრამის პირველ მიზანთან დაკავშრებულ მაჩვენებელს და მეტად გასაგებს გახდის მას. 1.2 რეკომენდაციაში წერია, რომ რეკომენდებულია, განხორციელდეს გარკვეული ცვლილებები და განახლებები ზოგიერთ გაზომვად და არამკაფიო კრიტერიუმთან დაკავშირებით. 4.1 რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ რეკომენდებულია, დაემატოს უნივერსიტეტში ასისტენტ-პროფესორის პოზიცია, რათა მოხდეს ახალგაზრდა პერსონალის მოყვანა უნივერსიტეტში. ასევე, უნდა მოიწვიოს დაწესებულებამ გარე პერსონალი, კერძოდ, სამრეწველო დარგიდან იმისათვის, რომ სტუდენტებს გაუზიარონ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება. ასევე საჭიროა მატერიალური რესურსების განახლება. კერძოდ, ბიბლიოთეკების, ლიტერატურის, მასალის განახლება და შეთავაზება, ვინაიდან ეს სფერო მზარდი და მუდმივად განახლებადია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ლევან მიდოდაშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით თუ დარჩებოდა 1.3 რეკომენდაციად, რომელსაც ბუნებრივია გაითვალისწინებს დაწესებულება. დანარჩენი კი შესაძლებელი იყო განსაზღვრულიყო რჩევებად. რაც შეეხება ადამიანურ

რესურსებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს, დაწესებულება მიიჩნევს, რომ მოწვეული და აკადემიური პერსონალი აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებსა და სტანდარტებს, რასაც აკრედიტაციის სტანდარტი ითვალისწინებს. ლიტერატურასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას კი ეთანხმება დაწესებულება და თვლის, რომ აღნიშნული ლიტერატურა მოძველებულია და აუცილებლად მოხდება მათი განახლება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, მას აინტერესებდა არსებობს თუ არა ლიტერატურის ელექტრონული რესურსები.

ექსპერტმა მარინა რაზმაძემ აღნიშნა, რომ ბეჭდური მასალა ლიტერატურისა იყო საკმაოდ მწირი, ხოლო ელეტრონული მასალა მოძველებული. სწორედ ამან გამოიწვია რეკომენდაციაც.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ რადგანაც სწრაფად იცვლება ლიტერატურა, მიზანშეწონილი, ხომ არ იქნებოდა, მხოლოდ ელექტრონული განახლება მომხდარიყო დაწესებულებაში.

მარინა რაზმაძემ აღნიშნა, რომ აქ საუბარი იყო თუნდაც ერთ ბეჭდურ ეგზემპლარზე, რომელიც ბოლო წლებში იქნებოდა გამოცემული.

საერთაშორისო ექსპერტმა, სეიფედინ კადრიმ აღნიშნა, რომ ექსპერტები არ გულისხმობენ იმას, რომ უკლებლივ ყველა წიგნის ნაბეჭდი ვერსია ჰქონდეს დაწესებულებას, არამედ რეკომენდაცია გაიცა ლიტერატურის განახლების თვალსაზრისით, შემდეგ უკვე უნივერსიტეტის გადასაწყვეტია რა იქნება ბეჭდური სახით და რა ელექტრონული.

ქეთევან ნანობაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა რამ გამოიწვია ამ რეკომენდაციის დაწერა?

მარინა რაზმაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ყველა ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია და შესაბამისობები დარგთან. კვალიფიკაციის კუთხით იყო უფრო ნაკლები რაოდენობის აკადემიური პერსონალი, რომელიც პირდაპირ ემსახურებოდა ამ დარგის მიმართულებას. ასევე საჭიროა პროგრამაში პრაქტიკოსების ჩართვა, რადგან ამის საჭიროებას თვითონ დარგი მოითხოვს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაპროგრამების ნაწილში არის 2018 წლის სახელმძღვანელო. ასევე არის ისეთი სახელმძღვანელოები, რომელბიც დაწერილია ქართულ ენაზე და რომელშიც უდიდესი ძალისხმევა აქვთ ჩადებული ქართველ პროფესორებს. ასევე აღინიშნა, რომ ხელოვნური ინტელექტიც საკმაოდ აქტიურად არის ჩართული სასწავლო კურსებში.

ლევან მდოდაშვილმა აღნიშნა, რომ ძირითადი სპეციალობა შეიძლება ოდესღაც ვიღაცას ჰქონდა მათემატიკა და დღეს მუშაობს ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით, მაგრამ მათ აქვთ ნაშრომები შესაბამისი მიმართულებით, რომელიც წარმოდგენილია დაწესებულების მხრიდან.

სეიფედინ კადრიმ აღნიშნა, რომ Python 2 არის საკმაოდ ძველი, რადგან 2018 წლის შემდეგ პროგრამა აღარ გამოიყენება და სტუდენტი, რომელიც ამ პროგრამით ისწავლის, მუშაობის პროცესში აღმოაჩენს, რომ მისი ცოდნა არის უსარგებლო და გამოუსადეგარი. რაც შეეხება პერსონალს, რეკომენდაცია არ გულისხმობს ძველი პერსონალის ახლით ჩანაცვლებას. აქ იგულისხმება გამოცდილების გაცვლა ახალ და ძველ პერსონალს შორის, რომელიც სტუდენტს უკეთეს შედეგზე გაიყვანს, ვიდრე მანამდე.

მაქსიმ იავიჩმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ ლიტერატურაში არის გულნარა ჯანელიძის წიგნი Python, რომელიც 2018 წლისაა, თუმცა Python 3-ის შესახებაა. მას აინტერესებდა დახვდათ თუ არა ეს წიგნი ექსპერტებს ადგილზე?

მარინა რაზმაძემ აღნიშნა, რომ არქიტექტურის წიგნი, რომელიც ექსპერტებს დახვდათ ადგილზე, იყო დაახლოებით 20 წლის წინანდელი, ან უფრო მეტის. ხოლო 2024 წლის წიგნი, რომელიც მითითებულია სილაბუსში ექსპერტებს არ დახვედრიათ ადგილზე.

სეიფედინ კადრიმ აღნიშნა, რომ Python 3 ვერსია გამოვიდა 2022 წლის შემდეგ და ამუშავდა 2023-დან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:54
დასრულების დრო: 17:16

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი კლასტერის ვადით, 2032 წლის 11 ნოემბრამდე.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 11 ნოემბრამდე.

4. მეოთხე საკითხი: შპს ნეუ - ეროვნულ საგანმანათლებლო უნივერსიტეტის “ბიზნესის ადმინისტრირების” ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: ბაკალავრიატი
სწავლების ენა: ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სტატუსი: აკრედიტებული
კრედიტები: 240

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ბონდო გასვიანმა დატოვა საბჭოს სხდომა.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ არსებითი რეკომენდაცია იყო, რომ დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით არ იყო სწავლის შედეგები ნათლად გაწერილი და სრულად არ შეესაბამებოდა სტანდარტს. ხაზი გაესვა იმას, რომ ინსტიტუციამ გაიზიარა და შეასრულა რეკომენდაციები და რჩევების დიდი ნაწილი, რომელიც შეეძლო გაეკეთებინა სტუდენტების არყოფნის პირობებში. ექსპერტებმა გასცეს რამდენიმე რჩევა, რომელიც უნივერსიტეტის განვითარებაზეა მხოლოდ და მხოლოდ ორიენტირებული. საერთო ჯამში კი ყველა რეკომენდაცია და რჩევა შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების ხელმძღვანელმა, სალომე პირველმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა გუნდს გაწეული შრომისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:23
დასრულების დრო: 17:25

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს ნეუ - ეროვნულ საგანმანათლებლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მიგრაციის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში);

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მიგრაციის მართვა
საფეხური: მაგისტრატურა
სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მიგრაციის კვლევების მაგისტრი
დეტალური სფეროს კოდი: 0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები – არაკლასიფიცირებული
სტატუსი: აკრედიტებული
კრედიტები: 120

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ქეთევან აფთარაშვილმა
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი მარიამ ბანძელაძე მიესალმა საბჭოზე დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დასკვნაში განსაზღვრული იყო 5 ძირითადი რეკომენდაცია, რომელზეც დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის მიხედვითაც, რეკომენდაციათა ძირითად ნაწილს დაწესებულება სრულად დაეთანხმა. სტაჟირების სილაბუსთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია დაწესებულებამ ნაწილობრივ გაიზიარა და ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, აღნიშნული რეკომენდაცია რჩევაში გადაეტანათ. რაც შეეხება რეკომენდაციას, რომელიც შეეხებოდა „კვლევის მეთოდების" შეფასების კრიტერიუმებს,

უნივერსიტეტი არ დაეთანხმა, თუმცა არდათანხმების მიზეზი ექსპერტთა ჯგუფისთვის მისაღები იყო. რეკომენდაციის გაცემა განაპირობა იმ საკითხმა, რომ სილაბუსში არ იყო დეტალურად გაწერილი სტუდენტთა აქტივობები შეფასების კომპონენტში, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნული საკითხი საკმაოდ დეტალურად იყო ახსნილი. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში, თუმცა მათი მოსაზრებით, შეფასების კომპონენტები სილაბუსში ისე უნდა იყოს გაწერილი, რომ სტუდენტები მუშაობენ არა ზეპირად, თეორიულ ნაწილზე, არამედ ეს არის კვლევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაცემული ხუთი რეკომენდაციიდან, ორი გადავიდა რჩევაში, სამი რეკომენდაცია კი განისაზღვა შესასრულებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დავით პატარაიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის ყოველთვის მისაღებია გარე შეფასება, რაც ძალიან ეხმარება პროგრამებს განვითარებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რამდენიმე კომპონენტში გაცემული იყო რეკომენდაციები, თუმცა ისინი შეფასებული იყო სრული შესაბამისობით და აინტერესებდა, აღნიშნული ხომ არ იყო ტექნიკური ხარვეზი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, თამთა მოხევიშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული იყო ტექნიკური ხარვეზი და მოცემული კომპონენტების შეფასებაში არ უნდა ყოფილიყო მონიშნული სრული შესაბამისობა.

ლევან შავაძემ დაწესებულებას მიმართა კითხვით, მას აინტერესებდა დარჩენილი რეკომენდაციების შესრულებისთვის დაწესებულებას დაახლოებით რა დრო დასჭირდებოდა.

დავით პატარაიამ აღნიშნა, რომ ერთი რეკომენდაცია უკვე გასწორებულია. ხოლო ფორმულირებებთან დაკავშირებული რეკომენდაციის შეცვლაც შესაძლებელია დაახლოებით 2 თვეში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:40
დასრულების დრო: 17:44

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მიგრაციის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად 60 კალენდარული დღის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2]მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს "მიგრაციის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღიანი ვადა.

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-6 და მე-7 საკითხი განეხილათ ერთად, რადგნა ორივე საკითხი ეხებოდა ერთ უნივერსიტეტის და ერთმა ექსპერტმა შეისწავლა ორივე ანგარიში. სხდომაზე დამსწრე წევრები და დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ აღნიშნულ შუამდგომლობას.

თეა მჭედლურმა დატოვა საბჭოს სხდომა.
ბონდო გასვიანი შემოუერთდა საბჭოს სხდომას.

6. მეექვსე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)
საფეხური: ბაკალავრიატი
სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში
დეტალური სფეროს კოდი: 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა
სტატუსი: აკრედიტებული
კრედიტები: 180

7. მეშვიდე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)
საფეხური: ბაკალავრიატი
სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
დეტალური სფეროს კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სტატუსი: აკრედიტებული
კრედიტები: 180

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე და მეშვიდე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერთმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ განსახილველ პროგრამებზე წარმოდგენილია ერთი კლასტერული რეკომენდაცია. ხოლო ცალკეულად, ფინანსების პროგრამაზე სამი და მენეჯმენტზე - 4 რეკომენდაცია. კლასტერული სახით წარმოდგენილია სწავლის შედეგების შეფასების ისეთი მექანიზმებისა და ინტრუმენტების შემუშავება, რომელიც მორგებული იქნება ცალკეული პროგრამის სპეციფიკაზე და რომელიც მოგვცემს საშუალებას, რომ დასაბუთებულად იქნეს აღქმული სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის ლოგიკა. ამის შესახებ ინსტიტუციამ წარადგინა საკმაოდ დეტალური და ვრცელი დოკუმენტაცია, რომელშიც ყველაფერი თვალნათლივ იყო გაწერილი. ფინანსების პროგრამაში არის წინაპირობების საკითხი, ასევე საფინანსო აღრიცხვა 1 და 2-სთვის დატვირთვის საათებისა და კრედიტების გაზრდის საკითხი, რომელიც შესრულებულია. ასევე, რეკომენდებულია, გაფორმებულ მემორანდუმებში დამსაქმებლებთან სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაციის ასახვა, რომელიც ეხება პრაქტიკის ხანგრძლივობასა და სტუდენტების რაოდენობას. აღნიშნული რეკომენდაციაც შესრულებულია სტანდარტების მიხედვით. მეორე პროგრამამაშიც ხუთივე რეკომენდაცია შესრულდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარომადგენელმა, თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ გარდა იმისა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაციები, ისინი უკვე გამოიყენებულ იქნა პრაქტიკაშიც. გარდა ამისა, დოკუმენტაცია 24 თებერვალს წარადგინა უნივერსიტეტმა და გაზაფხულის სემესტრიდან მოხდა პროგრამების განახლება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:52
დასრულების დრო: 18:00

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, **შპ ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)" საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, **შპ ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)" საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 18:01 საათზე.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა